სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/57

ქ. თბილისი

13 დეკემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის რეორგანიზაციისა და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 2 დეკემბრის №01-05-04/182 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 13 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აკადემიური საბჭოს 2021 წლის 2 დეკემბრის №01-05-04/182 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები;

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ფაკულტეტის სასწავლო ერთეულებია:

ა) ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დეპარტამენტი;

ბ) საბუღალტრო აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის აკადემიური დეპარტამენტი;

გ) ტურიზმის და მარკეტინგის აკადემიური დეპარტამენტი;

დ) საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის აკადემიური დეპარტამენტი;

ე) საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი".

3. დამტკიცდეს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში (დანართი) და აისახოს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**